EUROPEAN NEIGHBOURHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT (ENPI) EAST COUNTRIES FOREST LAW ENFORCEMENT AND GOVERNANCE (FLEG) II PROGRAM COMPLEMENTARY MEASURES FOR ARMENIA & GEORGIA

Program is funded by the Austrian Development Agency (ADA) with funds of Austrian Development Cooperation and implemented by the World Bank in Partnership with IUCN and WWF

www.enpi-fleg.org

WITH FUNDING FROM AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

ᲨᲔᲨᲘᲡ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲐ, ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ

ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ?

CENN
Caucasus Environmental NGO Network
www.cenn.org

ბროშურა განკუთვნილია სატყეო დარგის სპეციალისტებისა და მოსახლეობისათვის. მისი მიზანია ინფორმაციის მიწოდება შეშის ეფექტიანი და მდგრადი მოპოვების, დამზადებისა და გამოყენების შესახებ, გარემოსდაცითი ასპექტების გათვალისწინებით.

რედაქტორი ვალტერ ბენეჯენდორფი

ილუსტრატორი ქეთევან აბრამიშვილი

2016

ბროშურა მომზადდა და გამოიცა CENN-ის მიერ „ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული ქვეყნებისათვის სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების მეორე პროგრამის (ENPI East FLEG II)“ ფარგლებში, ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

პუბლიკაციის შინაარსზე, შედეგებზე, მოსაზრებებსა და დასკვნებზე სრულ პასუხისმგებლობას იღებს FLEG II პროგრამის გუნდი (www.enpi-fleg.org) და არ უნდა იქნეს განხილული, როგორც ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის შეხედულებები. წარმოდგენილი მოსაზრებები აუცილებლად არ გამოხატავს განმახორციელებელი ორგანიზაციების აზრს.

წინასიტყვაობა

ტყე საქართველოსათვის განსაკუთრებული ფასეულობის ბუნებრივი რესურსია, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 40%-ს შეადგენს. ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული საქართველოს ტყე მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის. ის სოფლის მოსახლეობას უზრუნველყოფს აუცილებელი ტყის რესურსებით.

ამჟამად საქართველოს ტყეების დიდი ნაწილი ადამიანის ზემოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად დეგრადირებულია. სოფლად არსებული სიღარიბის მაღალი დონე, აგრეთვე ენერგიის ალტერნატიული წყაროების არარსებობა, ზრდის ანთროპოგენულ ზეწოლას ტყის ეკოსისტემებზე და განაპირობებს ხეტყის უკანონო და არამდგრადი მეთოდებით მოპოვებას.

ტყის არამდგრადი მართვა ამცირებს ბიომრავალფეროვნებას და აზარალებს სოფლის მოსახლეობას - ილახება ტყეზე დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესი, ისარგებლოს ბუნებრივი რესურსებით. ტყის დეგრადაციის ისეთი შედეგები კი, როგორიცაა რესურსების შემცირება და გახშირებული სტიქიური მოვლენები - კიდევ უფრო ამძიმებს სოფლის მცხოვრებთა სოციალურ მდგომარეობას.

საშეშე მერქნის მდგრადი მოპოვება გულისხმობს ხეტყის ჭრასა და შეშის დამზადებას უსაფრთხოების, ენერგოეფექტიანობისა და გარემოსდაცვითი წესების გათვალისწინებით. შეშის დამზადებისათვის უნდა შეირჩეს შესაფერისი ადგილი, სეზონი, ტრანსპორტირების მარშრუტი და რაც შეიძლება ვიწრო და მოკლე მორსათრევი გზა. ძლიერ დამრეცი, ეროზირებული და მეწყერსაშიში ფერდობები შეუფერებელია შეშის დამზადებისათვის, ვინაიდან ხის ჭრა, ისევე, როგორც მორების თრევა, ააქტიურებს ეროზიულ პროცესებს.

შეშის დამზადება საკმაოდ სახიფათო ოპერაციაა, ამიტომ ეს ღონისძიება შესაბამისი სამუშაო იარაღებისა და დამცავი აღჭურვილობის მქონე, კვალიფიცირებულმა სპეციალისტებმა უნდა განახორციელონ.

მნიშვნელოვანია დამზადებული შეშის შენახვის პირობების დაცვაც, რომ არ მოხდეს მისი დანესტიანება. მშრალი შეშა ადვილად იწვის, წვის პროცესში არ ბოლავს, ნაკლებად აბინძურებს ჰაერს და გამოყოფს მეტ სითბოს. მშრალი შეშისა და ენერგოეფექტიანი ღუმლების გამოყენება, აგრეთვე თბოიზოლაციის მარტივი წესების გათვალისწინება, მნიშვნელოვნად დაზოგავს ბუნებრივ და ფინანსურ რესურსებს.

შეშის დამზადება





დაგეგმვა

- ენერგოეფექტიანობისათვის საშეშე მერქანი გამოყენებამდე სულ მცირე ერთი წლით ადრე უნდა მოიჭრას. თუმცა უმჯობესი იქნება, თუ შეშას 2 წლის განმავლობაში გამოაშრობთ. ზაფხულის თვეებში დამზადებული შეშა უნდა გამოიყენოთ შემდეგი წლის ზამთარში.
- მომავალი წლისთვის საჭირო რაოდენობის შეშის მისაღებად მიმართეთ სახელმწიფო უწყებას (ეროვნული სატყეო სააგენტოს ადგილობრივ სამსახურებს, თბილისის მერიას, აჭარის სატყეო სააგენტოს).
- მოსაჭრელი ხეების მონიშვნას ახორციელებენ შესაბამისი სახელმწიფო უწყების ან ლიცენზიის მფლობელების ხეტყის დამზადების სპეციალისტები.

მოსამზადებელი ეტაპი

- საშეშე მასალის უსაფრთხო მოპოვებისათვის საჭიროა სპეციალური იარაღები და დამცავი აღჭურვილობა.
- გაითვალისწინეთ, რომ ბენზინზე მომუშავე ხერხის გამოყენებას სჭირდება შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება! ტყისმჭრელმა უნდა გაიაროს სპეციალური სწავლება.

ტყისმჭრელის დამცავი აღჭურვილობა



ხეტყის მოჭრისთვის საჭირო იარაღები



ჯაჭვიანი ხერხი დამცავი მოწყობილობებით:

1.4. ხელების დამცავი;
2. ძრავას სიმძლავრის მარეგულირებლის ჩამკეტი;
3. გადამრთველი;
5. ჯაჭვის მუხრუჭი (უკუცემის შემაკავებელი);
6. ჯაჭვის დამცავი;
7. გამონაბოლქვის ამრიდი;
8. ხელის გამათბობელი;
9. დამცავი ჯაჭვი.



ხის ჭრა



- დარწმუნდით, რომ დაახლოებით ხის სიმაღლეზე 2-ჯერ მეტ რადიუსში (სახიფათო წრე), არავინ იმყოფება;
- განსაზღვრეთ, რომელ მხარეს უნდა დაეცეს მოჭრილი ხე;
- მოჭერით ხე წინასწარ მოწყობილი მორსათრევის მიმართულებით, რათა შეამციროთ ხის გადატანის მანძილი.



ჭრის პროცესი

საწყისი ჯვეთი უნდა გაკეთდეს ხის დიამეტრის ~1/3-ზე.



გასხივვა

- გასხივვის დროს ხდება მოჭრილი ხიდან ტოტების მოცილება.
- მოჭრილ ხეს ტოტები უნდა მოაცილოთ ჯერ გარე მხარეს, შემდეგ კი – შიდა მხარეს.

მორების დამზადება

- მორების დამზადების დროს დაიწყეთ ჭრა შეზნექილი მხრიდან.

- ფრთხილად! ხერხის წინა ნაწილით ჭრა იწვევს უკუცემას!



- საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საშეშე ხე უნდა დაიჭრას 1 მ-მდე სიგრძის ნაწილებად.

ტრანსპორტირება

- სატრანსპორტო საშუალებამ უნდა იმოძრაოს მორსათრევზე. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მიმდებარე ტერიტორიებზე ნიადაგის დატეპნა და ეროზია, აკრძალულია მორსათრევიდან გადასვლა.



- ნიადაგისა და მწვანე საფრის დაცვისათვის უკეთესია ბორბლიანი, ვიდრე მუხლუხიანი ტექნიკის გამოყენება.

შეშის დაჰობა და შენახვა

- მორები დახერხეთ თქვენი ღუმლისთვის შესაფერის ზომებად;
- მცირე ზომის ნაჭრები დააპეთ ნაჯახით, დიდი ზომის ნაჭრები – ხელეჩოთი;
- დააპეთ მცირე ზომის ნაჭრებიც. ეს ხელს შეუწყობს მათ გამოშრობას;
- შეინახეთ ისე, რომ შეშის ნაჭრებს შორის ჰაერი თავისუფლად მოძრაობდეს;
- შეშა შეინახეთ, სულ მცირე, 1 წლის ან, უკეთეს შემთხვევაში, 2 წლის განმავლობაში;
- მოარიდეთ შეშა წვიმასა და თოვლს.

შეშის წვა

ნედლი შეშა

ენერგეტიკული ღირებულება 40%

ძლიერი დამაბინძურებლები: ნახშირწყალბადი, მხუთავი აირი, ძმარმჟავა, ხის სპირტი, ფორმალდეჰიდი, ჭვარტლი და კუპრი



მშრალი შეშა

ენერგეტიკული ღირებულება 100%

დამაბინძურებლების მცირე რაოდენობა



მშრალი შეშის უპირატესობა

- მშრალი შეშის გამოყენებით შეგიძლიათ, ყოველწლიურად დაზოგოთ მნიშვნელოვანი თანხა.
- მშრალი შეშის საჭირო მოცულობა ერთ ოჯახზე წელიწადში, საშუალოდ, 10 მ^3-ია, ხოლო ნედლის – საშუალოდ, 15-20 მ^3.

მშრალი შეშის უპირატესობა

წყლის შემცველობა მერქანში (%)	10	15	20	30	40	50
ენერგეტიკული ღირებულება (კვტ.სთ/კგ)	4.6	4.3	4.0	3.4	2.9	2.3

შეშის ენერგეტიკული ღირებულება

- 1მ^3 წიფელი = 210 ლ ნავთი = 200 მ^3 ბუნებრივი აირი
- 1მ^3 რცხილა = 210 ლ ნავთი = 200 მ^3 ბუნებრივი აირი
- 1მ^3 ფიჭვი = 170 ლ ნავთი = 161 მ^3 ბუნებრივი აირი

ზომები ენეგროეფექტიანობის მისაღებად

- ღუმლის დანთებამდე მოამზადეთ თქვენი სახლი: შეამოწმეთ, მჭიდროდ იხურება თუ არა ჯარი და ფანჯრები, იპოვეთ და დაგმანეთ ის ადგილები, საიდანაც ჰაერი შემოდის;
- დაფარეთ ცივი ზედაპირები ხალიჩებით ან თბოიზოლაციისათვის გამოსადეგი მასალით. შესაძლებელია, ოთახში ჰაერის ნორმალური ტემპერატურა იყოს, მაგრამ ჯედლებისა და იატაკის ცივი ზედაპირის გამო მაინც გციოდეთ;
- შემოუშვით ბუნებრივი სინათლე, რადგან ზამთრის მზის სხივებსაც ჯი შეუძლიათ ოთახის გარკვეულწილად გათბობა.

ხეტყის მოპოვების წესი

საშეშე მერქნის ტრანსპორტირებისას მოსარგებლეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ხეტყის წარმოშობის დოკუმენტი. ეს არის სამ – თეთრ, ღია ყვითელ და სალათისფერ – ეგზემპლარად დაბეჭდილი ფორმა, რომელიც ივსება ტყის ფონდის ტერიტორიაზე და აუცილებლად – ტრანსპორტირების დაწყებამდე. მოსარგებლეს/გადამზიდავ პირს გადაეცემა ყვითელი და სალათისფერი ეგზემპლარები. ხეტყის წარმომავლობის დოკუმენტში რაიმე შესწორების შეტანა დაუშვებელია.

ხეტყის წარმოშობის დოკუმენტს გასცემენ ეროვნული სატყეო სააგენტო (ტყისმცველი), დაცული ტერიტორიების სააგენტო (რეინჯერი), აჭარის სატყეო სააგენტო და აფხაზეთის სატყეო სამმართველო.

ხეტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძველია ხეტყის დამზადების ბილეთი, რომელიც გაიცემა მომსახურებისა და მოსაკრებლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების (ქვითრების) საფუძველზე.

ხეტყის სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვამდე სავალდებულოა სამასალე მერქნის მარკირება სპეციალური ფირნიშით და საშეშე მერქნის მორებად დაჭრა (დაკოტვრა) სასურველ სიგრძეზე, მაგრამ არა უმეტეს 1 მეტრისა. დაუკოტრავი მასალის გამოტანა შესაძლებელია მხოლოდ ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებით. აღნიშნული ვალდებულება არ ეხება წვრილი მხრიდან 12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხის მასალას.

მეტყევე/ტყისმცველი ვალდებულია, მოითხოვოს ხეტყის დამზადების ბილეთი და შეამოწმოს ფაქტობრივად დამზადებული რესურსის შესაბამისობა ხეტყის დამზადების ბილეთში ასახულ მონაცემებთან (ოდენობა, ვადები, დამზადების ადგილი, სახეობა).

აკრძალულია სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული ხეტყის ნებისმიერი ფორმით გასხვისება.

წარმოშობის დოკუმენტის აღება ან მარკირება სავალდებულოა ჯერჯო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეების ტრანსპორტირებისას. ამისთვის თვითმმართველობის ორგანო გასცემს ადგილწარმომავლობის ცნობას, რომლის საფუძველზედაც ეროვნული სატყეო სააგენტო ახორციელებს წარმომავლობის დოკუმენტის შევსებას ან მარკირებას.

სამართალდარღვევა	სანქცია/ჯარიმა
სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხეტყის დამზადება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტების გარეშე	500 ლარი
განმეორებითი სამართალდარღვევა	1 000 ლარი სამართალდარღვევის საგნისა და იარაღის კონფისკაციით
უკანონოდ მოპოვებული ხეტყის პირველადი გადამუშავება	2 000 ლარი
განმეორებითი სამართალდარღვევა	4 000 ლარი ხეტყის პროდუქციისა და სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით
ხეტყის ტრანსპორტირება სათანადო დოკუმენტის ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე	1 000 ლარი
განმეორებითი სამართალდარღვევა	2 000 ლარი ხეტყის კონფისკაციით
ეერძო ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარის ტრანსპორტირება სათანადო დოკუმენტის ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე	200 ლარი
განმეორებითი სამართალდარღვევა	400 ლარი ხე-მცენარის კონფისკაციით ან უამისოდ
სოციალური ჭრების შედეგად მოპოვებული ხეტყის ტრანსპორტირება წესების დარღვევით ან ასეთი ხეტყის ნებისმიერი ფორმით გასხვისება	500 ლარი ხეტყის კონფისკაციით ან უამისოდ
„წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობების უკანონო ჩეხვა და დაზიანება	500-600 ლარი
სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ტყის დაზიანება რადიოაქტიური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან სხვა მავნე ნივთიერებებით, რადიოაქტიური ნარჩენებით, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვაგვარი ჩამდინარე წყლებით, აგრეთვე მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევებით, რასაც ტყის გახმობა ან დაავადება მოსდევს	1000 ლარამდე
იგივე ქმედება, ჩადენილი დაცული ტერიტორიების ფარგლებში	3000 ლარი
ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების დარღვევა	50-150 ლარი

* საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (1984 წ.)

CENN - საქართველო

სათავო ოფისი
ბეთლემის ქ. №27
0105, თბილისი
ტ +995 32 275 19 03/04
ფ +995 32 275 19 05
info@cenn.org
www.cenn.org

CENN - სომხეთი

ჰერაცის ქ. №16
0025, ერევანი
ტ/ფ +3741 0 57 57 79
info.armenia@cenn.org

CENN - აზერბაიჯანი

გარაგარაევის გამზ. №124/128
AZ1119, ბაქო
ტ +99412 4394113
ფ +99412 4743004
info.azerbaijan@cenn.org

პროგრამის შესახებ

ავსტრიის განვითარების სააგენტო / ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა აფინანსებს ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტით მოცული ქვეყნებისთვის სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების მეორე პროგრამის დამატებით ღონისძიებებს საქართველოსა და სომხეთისათვის, რომელთა განმახორციელებელია მსოფლიო ბანკი ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან და ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირთან ერთად. დამატებითი ღონისძიებები ავსებს და სრულყოფს ევროპის კავშირის მიერ დაფინანსებულ პროგრამას. პროგრამის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოსა და სომხეთში ტყის მმართველობის გაძლიერებას ამ სფეროში მიმდინარე საერთაშორისო პროცესების განხორციელების ხელშეწყობის, სატყეო პოლიტიკის, კანონმდებლობისა და ინსტიტუციური მოწყობის გაძლიერებისა და ტყის მდგრადი მართვის საპილოტე მოდელების ადგილობრივ დონეზე შემუშავების, გამოცდისა და შეფასების გზით, რაც შემდგომში ამ გამოცდილების გავრცობას დაედება საფუძვლად. პროგრამის სამი ძირითადი მიზანია: რეგიონულ დონეზე 2005 წლის სანკტ პეტერბურგის მინისტერიალის დეკლარაციის განხორციელება და 2005 წელს დაწყებული პროცესის გაგრძელების უზრუნველყოფა; ეროვნულ დონეზე სატყეო სექტორის მდგრადი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ტყის მდგრადი მართვისა და დაცვის სფეროში საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეფორმების ჩათვლით; და ადგილობრივ დონეზე ტყის მდგრადი მართვის საუკეთესო პრაქტიკის დემონსტრირება შერჩეულ სამიზნე ადგილებში შემდგომში ამ პრაქტიკის ფართედ დანერგვის მიზნით. დამატებითი ღონისძიებების ძირითადი მიზანია მონაწილე ქვეყნებში ტყის მდგრადი მართვისა და ტყის დაცვის ხელშეწყობა; აგრეთვე ტყეების დადებითი ზეგავლენის გაძლიერება კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციაში, ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვაში, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მდგრადი საარსებო პირობებისა და შემოსავლის წყაროს უზრუნველყოფისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

პროექტის პარტნიორები

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

ავსტრიის განვითარების თანაშრომლობა

ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა მხარს უჭერს აფრიკის, აზიის, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე კარიბის ზღვის ქვეყნებს მათი მდგრადი განვითარების საქმეში. ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სტრატეგიას გეგმავს ავსტრიის ფედერალური რესპუბლიკის ევროპის, ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტრო. ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სიღატაკის შემცირებას, ბუნებრივი რესურსების კონსერვაციასა და პარტნიორ ქვეყნებში მშვიდობასა და ადამიანის უსაფრთხოებას გრძელვადიანი პროგრამების და პროექტების განხორციელების გზით. საბოლოო მიზანია ცხოვრების პირობების მდგრადი გაუმჯობესება. http://www.entwicklung.at

THE WORLD BANK

მსოფლიო ბანკი

მსოფლო ბანკის ჯგუფი წარმოადგენს ცოდნისა და დაფინანსების ერთ-ერთ უმსხვილეს წყაროს მსოფლიოში მასში შემავალი 188 წევრი სახელმწიფოსათვის. ორგანიზაციები, რომლებიც მსოფლიო ბანკის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან, მიეკუთვნებიან წევრი ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც ამ ორგანიზაციების ფარგლებში უფლებამოსილნი არიან მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება ყველა საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკის, ფინანსებისა და გაწვრთნების საკითხების ჩათვლით. მსოფლიო ბანკის ჯგუფი შედგება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ხუთი ორგანიზაციისაგან. ესენია: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო და საინვესტიციო დავების რეგულირების საერთაშორისო ცენტრი. თითოეული ეს ორგანიზაცია განსაკუთრებულ როლს ასრულებს მსოფლიო ბანკის ჯგუფის მისიის შესრულებაში, რომელიც მიმართულია უკიდურესი სიღატაკის აღმოფხვრისაკენ ისე, რომ იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთა საარსებო მინიმუმი დღეში 1,25 აშშ დოლარზე ნაკლებია, მნიშვნელოვნად შემცირდეს და არ აღემატებოდეს 3 პროცენტს. მსოფლიო ბანკის ჯგუფის მისიაახელი შეუწყოს გაზიარებულ კეთილდღეობას და ყველა ქვეყანაში შემოსავლის გაზრდას სულ მცირე 40 პროცენტით.
http://www.worldbank.org, http://www.ifc.org, http://www.miga.org

IUCN

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი ეხმარება მსოფლიოს გარემოს დაცვისა და განვითარების სფეროში არსებული ურთულესი პრობლემების გადასაწყვეტი პრაგმატული გამოსავლის მოძებნაში. ორგანიზაციის საქმიანობა მიმართულია ბუნების მდგომარეობის შეფასებისა და კონსერვაციისკენ, მისი მოხმარების ეფექტური და სამართლიანი მართვისკენ და პრობლემათა გადაწყვეტის ბუნებრივი გზების მოძიებისკენ ისეთი გლობალური გამოწვევების საპასუხოდ, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, მზარდი მოთხოვნილება საკვებზე და განვითარება. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი მხარს უჭერს სამეცნიერო კვლევას მთელს მსოფლიოში, ახორციელებს კონკრეტულ პროექტებს ადგილებზე და ერთმანეთთან აკავშირებს მთავრობების, არასამთავრობო ორგანიზაციების, გაეროსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს პოლიტიკის, საკანონმდებლო ბაზის და საუკეთესო პრაქტიკის გაუმჯობესება-განვითარების მიზნით. იგი მსოფლიოს უძველესი და უდიდესი გარემოს დაცვითი გლობალური ორგანიზაციაა, რომლის წევრია 1,200–ზე მეტი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია და 11,000–მდე დამოუკიდებელი ექსპერტი 160 ქვეყანაში. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი თავის საქმიანობას მსოფლიო მასშტაბით ახორციელებს 45 ოფისის, 1000–ზე მეტი თანამშრომლისა და ასობით პარტნიორი საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.iucn.org

WWF

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი წარმოადგენს მსოფლიოში ბუნების დაცვის ერთ-ერთ უდიდეს, ავტორიტეტულ და დამოუკიდებელ ორგანიზაციას 5 მილიონი მხარდამჭერითა და 100-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედი გლობალური ქსელით. ფონდის მისიაა პლანეტის ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის შეჩერება და ისეთი მომავლის შექმნა, სადაც ადამიანები ბუნებასთან ჰარმონიულად იცხოვრებენ. ამ მიზნით ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი ხელს უწყობს პლანეტის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვას, განსაღებადი ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და დაბინძურების და რესურსების გადაჭარბებული მოხმარების შემცირებას. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.panda.org